პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტური განათლება

6 აგვისტო, 1937 წ. № 73 (373), ფასი 10 კაპ.

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო.

## მისაღები გამოცდები უმაღლეს სკოლაში

ახალგაზრდობის ნახევარმილიონიანი არმია სწავლობს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. მილიარდ შვიდას ოთხმოც მილიონ მანეთს ხარჯავს წელს საბჭოთა სახელმწიფო უმაღლეს სკოლაში სწავლებაზე. უკვე მარტო ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა ფართო გაქანება მიიღო უმაღლესმა განათლებამ საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება, ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში, რეალურად განხორციელებულია: იგი გარანტირებულია უფასო სწავლებით. უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტიპენდიით, მათ ეძლევათ საერთო საცხოვრებლები, უქმნიან ყველა პირობას ნაყოფიერი სწავლისათვის.

რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაშია შესაძლებელი კულტურის ასეთი გრანდიოზული აყვავება? გერმანიაში უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების რიცხვი 132 ათასიდან 1930 წელს შემცირდა 73 ათასამდე მიმდინარე წელს. მაგრამ ბნელეთის ფაშისტ მოციქულებს ეს შემცირებაც საკმაოდ არ მიაჩნიათ. ამ ცოტა ხნის წინათ ფაშისტურ პრესაში სწარმოებდა კამპანია უმაღლესი სკოლების შემდგომი დახურვის სასარგებლოდ. კაპიტალისტურ ქვეყნებში სწავლის ფული იმდენად დიდია, რომ საშუალებას არ აძლევს უქონელი კლასების შვილებს მიიღონ განათლება. ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში უკვე კურსდამთავრებულ რამდენ ახალგაზრდას არ შეუძლია იქ, საზღვარგარეთ, გამოიყენოს თავისი ცოდნა და მათი ხვედრია უმუშევრობა, შიმშილი, სიღატაკე!

სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყანა უდიდეს მოთხოვნილებას აყენებს იმ მუშაკებზე, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს. ჩვენს ქვეყანაში ყველგან სდუღს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. ყველგან — ქარხნებსა და შახტებში, სოციალისტურ მინდვრებზე და ტყეში, უდაბნოებსა და ზღვებზე — სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის საჭიროა ათი და ასი ათასობით კვალიფიციური, მცოდნე მუშაკები. უდიდესია ცოდნის წყურვილი ჩვენს ქვეყანაში. ყველაზე მივარდნილი, შორეული ადგილებიდან — ლენის ნაპირებიდან, შორეულ ჩუკოტკიდან, ყარაყალფაკეთის ქვიშიანი უდაბნოებიდან — მიილტვის ახალგაზრდობა უმაღლეს სკოლაში. უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები. თურქები, უზბეკები, ტაჯიკები, ყაზახები, თათრები, ბაშკირები. ჩუვაშები, — საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ეროვნებისათვის სტუმართმოყვარეობით არის გაღებული უმაღლესი სკოლის კარები. აქეთ მოდიან ახალგაზრდა ვაჟები და ქალები, რათა მიიღონ ცოდნა და სასარგებლონი იყვნენ თავისი ხალხისათვის, აიყვანონ მისი კულტურა უფრო მაღალ საფეხურზე.

ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში. აი რატომ არის, რომ პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ უმაღლეს სკოლას. ერთი წლის წინათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 23 ივნისის დადგენილებით უმაღლესი სკოლა რეორგანიზებულ იქნა. შემოღებულია მისაღები გამოცდები. სასწავლო პროცესში დადგენილია მტკიცე წესი. სახალხო კომისრებს დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა მათი სახალხო კომისარიატების სისტემაში მყოფ უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობისა და მუშაობისათვის. სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, — ნათქვამია ამ დადგენილებაში,— უმაღლეს სასწავლებლებს უნდა წარედგინოს ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები, რაც უზრუნველჰყოფს მაღალკვალიფიციური, პოლიტიკურად აღზრდილი, ყოველმხრივ განათლებული და კულტურული კადრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან „კაცობრიობის მიერ შემუშავებული ყველა სიმდიდრის ცოდნით“ (ლენინი) და რომლებსაც ექნებათ უნარი სავსებით აითვისონ მეცნიერების უახლესი მიღწევები, ბოლომდე გამოიყენონ ტექნიკა და ბოლშევიკურად დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას, შეათავსონ საწარმოო გამოცდილება მეცნიერებასთან.

იმისათვის, რომ უმაღლეს სკოლას შეეძლოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოშვება, საჭიროა უწინარეს ყოვლისა, კარგად მოვაწყოთ მიღება, დავაყენოთ იგი ისე, რომ შევაგროვოთ უმაღლეს სკოლაში ყველაზე შრომისუნარიანი, ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდობა. ამიტომ არის, რომ მიღების დროს უპირატესობით სარგებლობენ ისინი, ვინც მისაღები გამოცდების დროს მიიღო საუკეთესო ნიშნები. თვითეული სასწავლებლის ამოცანაა — მოაწყოს შემსვლელთა შორის შეჯიბრება უკეთეს ცოდნაზე. მისაღები გამოცდები — ეს არის საშუალო სკოლის მიღწევებისა და ნაკლოვანებების შემოწმება, ეს არის გამოცდა განსახკომებისათვის.

სამი დღის წინათ მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მისაღები გამოცდები. ახალი მიღების სტუდენტთა თითქმის ასიათასიანმა არმიამ უნდა აავსოს წელს უმაღლესი სკოლის აუდიტორიები. გამოცდების პირველმა დღეებმა დაგვანახვა, რომ იმ სასწავლებლებში, რომლებიც ჯეროვნად მოემზადნენ მოსწავლეთა მისაღებად, შეტანილია დიდძალი განცხადება, რაც საგრძნობლად აღემატება თავისუფალ ადგილებს. სსრ კავშირის და რუსეთის სფს რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის, გზათა სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების გეგმა ჭარბად არის დაფარული განცხადებებით. მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში 350 ვაკანსიაზე შეტანილია 1.252 განცხადება, მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტში 200 ადგილზე— 607 განცხადება. მაგრამ ყველა სახალხო კომისარიატმა და უმაღლესი სასწავლებლის ყველა დირექტორმა როდი გვიჩვენა ამ მხრივ მუშაობის ნიმუშები. რითი აიხსნება, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის წამყვან სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელში, ტიმირიაზევის სასოფლო - სამეურნეო აკადემიაში განცხადებათა შემოსვლა ძლივს ჰფარავს თავისუფალი ადგილების რიცხვს, ხოლო მთელ რიგ ფაკულტეტებზე საკმაო განცხადებებიც არ არის შეტანილი? ეს არ შეიძლება აიხსნას სხვა რამით, თუ არა მიღების სრულიად უვარგისი ორგანიზაციით, თვითდინებაზე დაყრდნობით. ტიმირიაზევის აკადემიის დირექტორმა ამხ. კოლესნიკოვმა, დაიმედებულმა იმით, რომ მისი სასწავლებელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში, არ მიიღო ზომები მიღების ორგანიზაციისათვის, თვითონ პირადად მონაწილეობასაც არ იღებდა ამ მუშაობაში, არ მოელაპარაკებია არცერთ შემსვლელს. ყოვლად უმსგავსოდ მუშაობდა სსრ კავშირის მიწსახკომის სასწავლებელთა მთავარი სამმართველოც (უფროსი ამხ. ანისიმოვი). სახალხო მეურნეობის პლეხანოვის ინსტიტუტში 300 ადგილზე გამოცდას აბარებს მხოლოდ 212 კაცი. ამაში თავი იჩინა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის და ინსტიტუტის დირექციის აშკარა ულაჯობამ.

განსაკუთრებულ შიშს იწვევს მდგომარეობა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში. ბუბნოვის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში წამყვანმა ფაკულტეტმა — ისტორიულმა ფაკულტეტმა — 100 ადგილზე მიიღო 61 განცხადება. გეოგრაფიულ ფაკულტეტზე გეგმით მიღებულ უნდა იქნას 90 კაცი, ხოლო შეტანილია სულ 30 განცხადება. ლიბკნეხტის სახელობის ინსტიტუტში მიღებულ უნდა იქნას 420 კაცი, შეტანილია კი მხოლოდ 325 განცხადება. უფრო უარესად არის საქმე სამასწავლებლო ინსტიტუტებში: ვორონეჟში, გორკში, კიროვში. ვლადივოსტოკში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში — მნიშვნელოვანი დანაკლისია. რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომმა ძალიან ცუდად მოაწყო მიღება თავისი სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში. პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ განსახკომელი უქნარები არსებითად ფუშავენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მასწავლებელთა კადრების შექმნისაკენ.

იქნება ამხ. ბუბნოვი განუმარტავს ჩვენს საზოგადოებას,—თუ რაშია საქმე? განა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის არ ყოფილან ახალგაზრდები, რომლებსაც პედაგოგებად გახდომა სურთ? იყვნენ, და მრავალი ათასობითაც იყვნენ. მაგრამ მათთან არ უმუშავნიათ, მათთან არ ულაპარაკნიათ, მათთვის არ განუმარტავთ პედაგოგიური განათლების მნიშვნელობა, მიღების პირობები. განსახკომი, ეგებიობის იმედით, უმოქმედობას იჩენდა, ახლა კი სამაგიეროს ზღავს თავისი უდარდელობისათვის. პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მუშაობას თავი აარიდა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმაც. ეს კი, თითქოს, მისი პირდაპირი და უშუალო ამოცანაა.

უმაღლეს სკოლაში მიღების ცუდი ორგანიზაციისათვის მარტო უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები კი არ არიან პასუხისმგებელი. სრული პირადი პასუხისმგებლობა, ნათქვამია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ეკისრებათ სახალხო კომისრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს. როგორც სჩანს, ეს თავისი პირდაპირი მოვალეობა დაავიწყდა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ლიუბიმოვს. მას არ მოუსმენია უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის არცერთი მოხსენება მისი მუშაობის შესახებ. ასეთივე მდგომარეობაა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატშიც. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის არცერთ დირექტორს არ უნახავს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ივანოვი თავის სასწავლებლის კედლებში. ვერ მიაღწია იმას, რომ იგი მიელო სახკომს. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში კადრების მომზადების ყველა საკითხი მინდობილი აქვს სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს, რომელიც ფაქტიურად უკონტროლოდ მუშაობს. ეს კიდევ ცოტაა, ამ უკანასკნელის აპარატი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გაასახლა მოსკოვის ფარგლებიდან, სადგურ „სტროიტელზე“, სადაც სატელეფონო კავშირიც კი არ არის. განა გასაკვირალია, რომ სტუდენტთა მიღება სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ცუდად არის მოწყობილი!

უმაღლეს სკოლაში ახალ სტუდენტთა მიღება — უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. უმაღლეს სასწავლებლებში იჭედება ჩვენი ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. ის კადრები რომლებსაც ასე დაჟინებით მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში მძაფრად მზარდი სოციალისტური მშენებლობა. უმაღლეს სკოლაში თავი უნდა მოვუყაროთ საუკეთესოებს დამთავრებული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობიდან. საჭიროა გზა და გზა, მუშაობის პროცესში გამოვასწოროთ მიღების მხრივ არსებული ყველა ნაკლი. წლეულს უმაღლესმა სკოლამ უნდა მიიღოს შევსება, რომელიც ღიადი სოციალისტური სამშობლოს ღირსი იქნება.

„პრავდის“ მოწინავე, 1937 წ. 4/VIII



## ფრიდრიხ ენგელსი

### გარდაცვალებიდან 42 წლისთავის გამო

1895 წლის 5 აგვისტოს გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი, კარლ მარქსის მეგობარი და თანამებრძოლი. „თავისი მეგობრის კარლ მარქსის შემდეგ (გარდაიცვალა 1883 წ.) ენგელსი იყო ყველაზე შესანიშნავი მეცნიერი და მასწავლებელი თანამედროვე პროლეტარიატისა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში“.

(ლენინი)

□ □ □

## ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს მიერ პარიზიდან და ლონდონიდან მიღებული ცნობებით).

### ცენტრალური ფრონტი

თავდაცვის სამინისტროს მიერ 3 აგვისტოს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ გვადალახარის რაიონში რესპუბლიკელთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ და გაიუმჯობესეს პოზიციები.

### აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

თავდაცვის სამინისტროს 3 აგვისტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარების წინსვლა ამ ფრონტზე გრძელდება. სოფელ ბადენასის დაკავების შემდეგ რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი ახალი პუნქტები. რესპუბლიკელთა შეტევა რამდენადმე შენელებულია, მეამბოხეთა მიერ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის გამო.

ტერუელის რაიონში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს პანკრუდო, (ტერუელის დასავლეთით). რესპუბლიკელებმა დაიკავეს აგრეთვე მნიშვნელოვანი პოზიციები ვალიეხოს მთის აღმოსავლეთით. მეამბოხეთა ბატარიებმა, რომლებიც ვილიეკუნკის აღმოსავლეთით არის განლაგებული, ყუმბარები დაუშინეს რესპუბლიკელთა მიერ ახლად დაკავებულ პოზიციებს. მეამბოხეთა ცდა იერიშზე გადასულიყვნენ ამ რაიონში, ენერგიულად იქნა მოგერიებული.

ესპანის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ავიაციამ მოახდინა მთელი რიგი სადაზვერვო გაფრენები ტერუელიდან ხეა დე ალბარასინისკენ მიმავალ გზაზე.

### სამხრეთის ფრონტი

კოლომერის რაიონში მეამბოხეთა ბატარიებმა ყუმბარები დაუშინეს რესპუბლიკელთა პოზიციებს.

მოტრილის მიდამოებში რესპუბლიკელთა პოზიციებზე ესმოდათ სროლა, რომელიც მეამბოხეთა ბანაკში სწარმოებდა.

### ჩრდილოეთის ფრონტი

ასტურიის უბანზე მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა რესპუბლიკელთა პოზიციებს კალდასში.

ბისკაის უბანზე მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა რესპუბლიკელთა პოზიციებს ტრუსიოსის მიდამოებში.

# მისაღები გამოცდები — ეს არის საშუალო სკოლის მიღწევებისა და ნაკლოვანებების შემოწმება, ეს არის გამოცდა განსახკომებისათვის

„პრავდა“

## მისაღები გამოცდების პირველი დღე უნივერსიტეტში

2 აგვისტოს თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო მისაღები გამოცდები. წინა დღით უნივერსიტეტში შესდგა საორგანიზაციო კრება იმ პირთა მონაწილეობით, რომლებიც დაშვებული არიან გამოცდებზე. ახალგაზრდობას გააცნეს გამოცდის ჩაბარების, ცოდნის შეფასების წესი და სხვ.

იმ პირთა კონტიგენტი, რომლების მიღება შეიძლება უნივერსიტეტში, განსაზღვრულია 870 კაცის რაოდენობით. უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიღებულია საშუალო სკოლის 190 ფრიადოსანი. გამოცდებზე დაშვებულია 2.300 კაცი.

ყველაზე მეტია ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლის მსურველი — (469), ქიმიურ ფაკულტეტზე — (355), ეკონომიურ ფაკულტეტზე — (316) და გეოგრაფიულ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე — (314).

2 აგვისტოს იყო გამოცდები სხვადასხვა ფაკულტეტზე — ზეპირი და წერითი რუსულ ენაში, წერითი მათემატიკასა და ქიმიაში და ზეპირი ქართულ ენაში.

გამოცდები იწარმოებს ყოველ დღე (გარდა გამოსასვლელი დღეებისა) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე. გამოცდები დამთავრდება 17 აგვისტოს.

წელს მისაღებ გამოცდების ჩატარების წესში ბევრი რამ ახალია შეტანილი. მაგალითად, სავალდებულოა გამოცდის ჩაბარება ერთერთ უცხო ენაში (შემსვლელის არჩევით), ახალგაზრდობა უზრუნველყოფილია კონსულტაციით წამოჭრილ საკითხებზე, სამკითხველო დარბაზით, საჭირო ლიტერატურით, ბუფეტით, დასასვენებელი ოთახით. გამოცდების საათებში უცხო პირებს უნივერსიტეტში არ უშვებენ. სპეციალურად გამოყოფილი პირები, თავისუფალ დროს, ახალგაზრდებს ესაუბრებიან პოლიტიკურ საკითხებზე (საქდესი).

## მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში

2 აგვისტოს ჯერ კიდევ დილის 8 საათიც არ იყო, რომ მე-14 საშუალო სკოლის კარებს მოაწყდა დიდძალი ახალგაზრდობა. აქვე არიან მშობლებიც, რომლებიც შვილებს გამოყოლიათ.

— ნუთუ აქ არის სამედიცინო ინსტიტუტი? — კითხულობს იმერეთიდან ჩამოსული ქალარა კოლმეურნე — რომელსაც გვერდით დაუყვება თავისი 16-17 წლის მკვირცხლი ვაჟი.

— არა, ძია, აქ სამედიცინო ინსტიტუტი კი არა, მე-14 სკოლაა. აქ იწარმოებს სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები, უპასუხებს კოლმეურნეს ერთი ახალგაზრდა.

საათმა დაკრა რვაჯერ. ყველა გულისფანცქალით ელის კარების გაღებას. აი, გაიღო კიდეც... შეშვების მომწესრიგებელი ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ არ შეიპაროს გარეშე ვინმე, „დაუპატიჟებელი სტუმარი“, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ პროტექციის სავსე გუდაც კი ჰკიდია ზურგზე... ჩანს ამას წელს აქ ნაკლებად აქვს გასავალი. ყოველ შემთხვევაში ასეთია პირველი შთაბეჭდილება.

აგერ გამომცდელებთან საუბარს ატარებს მისაღებ გამოცდების ხელმძღვანელი პროფ. ჟღენტი. თითოეულ მასწავლებლის სახეზე აღბეჭდილია სერიოზულობა და პასუხისმგებლობა.

სულ შეტანილი იყო 1621 განცხადება; გამოცდებზე დაშვებულია 1303 კაცი. 301 ფრიადოსანია. საკონკურსოა 80 ადგილი.

წინასწარი ცნობების მიხედვით გასულ წელთან შედარებით წელს უფრო მომზადებული ახალგაზრდობა შედის სამედიცინო ინსტიტუტში. მისაღები გამოცდები დამთავრდება 18 აგვისტოს.

## 900 განცხადება ქუთაისის პედინსტიტუტში მიღების შესახებ

**ქუთაისი**, 4 აგვისტო (საქდესი). ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო მისაღები გამოცდები. განცხადებები ინსტიტუტში შესვლის შესახებ შეიტანა 900 ახალგაზრდამ, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

წელს ინსტიტუტში მიღებულ იქნება 440 კაცი: ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე — 90, საბუნებისმეტყველოზე — 70, სალიტერატუროზე — 110, ისტორიულზე — 90, გეოგრაფიულზე — 50 და ფიზკულტურულზე — 30.

## ამოვფხვრათ მავნებლობის შედეგები უმაღლეს სასწავლებლებში

ძირითადად უკვე დამთავრდა უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ორგანოთა ანგარიშგება და არჩევნები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წევრთა დასწრება უდრიდა 91%-ს.

ადგილკომების საანგარიშო კრებებზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე გამოვლინებული იქნა მთელი რიგი დამახინჯებანი როგორც პროფკავშირული მუშაობის, ისე სასწავლო-პედაგოგიურ პროცესის დარგში:

დადასტურდა, რომ ბევრგან შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა საწარმოო თათბირების მოწვევას, არ არსებობდა დადგენილებათა შესრულების კონტროლი; სოცშეჯიბრებანი მოკლებული იყო კონკრეტულობას.

სატყეო - ტექნიკურ ინსტიტუტში გამოაშკარავდა შოვინიზმის ფაქტები, რასაც ხელს უწყობდნენ სასწავლო ნაწილის გამგე ა. გულისაშვილი და დოც. გულისაშვილი. ისინივე აღვივებდნენ კინკლაობას და ინტრიგას, რის შედეგად ჩაიშალა სასწავლო გეგმა.

თბილისის სახ. უნივერსიტეტში ადგილი ჰქონდა მავნებლობის მოვლენებს, რასაც ხელმძღვანელობდა უკვე გამოვლინებული ხალხის მტერი უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გარეწარი კ. ორაგველიძე. ის დიდ მფარველობას უწევდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ქიმიურ ფაკულტეტის ყოფ. დეკანს ფაშიზმის აგენტს ცინცაძეს, რომელმაც ჩაშალა ტექნიკის უშიშროების ღონისძიებათა გატარება. მავნებელმა ორაგველიძემ მას უთავაზა 50-ათასი მანეთი ბინის ასაშენებლად.

გამოვლინებულია აგრეთვე სატყეო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი ტროცკისტი, დივერსანტი, არამზადა ორლოვი, რომლის მავნებლურ მუშაობას უკვე აეხადა ფარდა.

ზოგიერთი პროფესორი (სას.-სამ. ინსტიტუტი, სახუნტი) გვერდს უვლიდა პოლიტწრეების მუშაობას; სახ. უნივერსიტეტის პროფ. ალ. ჯავახიშვილმა გადათარგმნა ფაშისტური ავტორების შრომები სახელმძღვანელოების სახით. პროფ. ყურგულაძემ პრესაში გამოამჟღავნა ლიბერალური განწყობილება ანტისაბჭოთა იდეოლოგიისადმი. მთელი რიგი პროფესორები სათანადო დახმარებას არ უწევდნენ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს, კიდევ მეტი — ადგილი ჰქონდა მათ დევნას.

მეაბრეშუმეობის საკვლევო ინსტიტუტში ერთსა და იმავე სამუშაოს შესრულებისათვის მამაკაცებს აძლევდნენ მეტ ხელფასს, ქალებს კი კაცილებით ნაკლებს და სხვ. მაგრამ პროფკავშირულ ორგანიზაციებს მაინც აკლდათ პოლიტიკური სიფხიზლე — მათ დროულად ვერ შესძლეს მავნებლობის ფაქტებისა და მათ ჩამდენ საზიზღარ ადამიანთა გამოვლინება.

ადგილკომებში ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ: კომუნისტი — 37, კომკავშირელი — 24, თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი — 66, უპარტიო — 74, სულ 151 კაცი.

**გრ. მა—ნი**

## ვინ მისცა ამის უფლება

სულ 8 თვეა, რაც ინდუსტრიულ ინსტიტუტს დირექტორის მოადგილედ მოევლინა ბახტაძე, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ არივ-დარია საქმე.

ავალაპარაკოთ ფაქტები:

ნინოშვილის ქუჩა № 55-ში ამ ინსტიტუტს აქვს საერთო საცხოვრებელი, სადაც დღემდე ცხოვრობდნენ დიპლომანტი სტუდენტები: შალვა კუბლაშვილი, აქვსენტი ქოიავა და სხვები. ბახტაძემ გამოასახლა ესენი აქედან და ჩაასახლა 7-კაციან ბინაში. ასეთ საცხოვრებელში შეუძლებელია სადიპლომო შრომის ჩაბარებისათვის მუშაობის წარმოება. ამის შესახებ სამართლიანად აიმაღლეს ხმა სტუდენტებმა, რაზეც ბახტაძემ ცინიკურად უპასუხა: სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ღამის გასათევად გვაქვს და არა სამეცადინოთ.

ჭირვეულ დირექტორის მოადგილე ბახტაძის უთავბოლობა კიდევ უფრო შორს მიდის. 1-ლი კურსის სტუდენტების მხოლოდ 30 % დაკმაყოფილებულია ზეწრებით, რის გამო ზოგიერთი სტუდენტი იძულებულია სახლიდან მოიტანოს ზეწრები.

შევყვეთ ქვევით. საერთო საცხოვრებელ ოთახ №23 მყუდროებაა. სტუდენტები მეცადინეობენ. მაგრამ ამ დროს მოულოდნელად ოთახში იჭრება ბახტაძე. ვისია ეს ჭუჭყიანი ბალიშისპირი. — გაისმა დირექტორის მოადგილის მრისხანე ხმა.

— ჩემია — მორიდებით უპასუხა სტუდენტმა თოთლაძემ.

— მერე-და, ბიჭო, რად არ რეცხ ბალიშისპირს, არა გრცხვენია!

— რა ვქნა, დამიგვიანდა გარეცხვა...

— თუ სწავლის შეძლების წილი არა გაქვს, წადი სადგურზე, ხაბაკები ზიდე და მით გამოიკვებე თავი.

ვინ მისცა ბახტაძეს უფლება დასცინოს და აბუჩად აიგდოს საბჭოთა სტუდენტები.

**ივ. ბუხაიძე**

## ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შესახებ*)

განსახკომის მიერ გამოცემული მშობლიური ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამა (V-X კლასებისათვის, 1937 წ.) მთელ რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს. მთავარი ნაკლი, რაც ამ პროგრამას ახლავს თან, ისაა, რომ მასში არაა მოცემული მითითებები თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ამათუიმ ეპოქისა და მწერლის მხატვრულ შემოქმედების შესწავლაში. ეს კი ძალიან საჭიროა ჩვენს პირობებში, როდესაც არ გაგვაჩნია ლიტერატურის სახელმძღვანელოები. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ პროგრამაში არავითარი სისტემა და პრინციპი არაა დაცული, აშკარა გახდება ასეთი „სტაბილური“ პროგრამის უვარგისობა.

დავიწყოთ მეხუთე კლასის ენის პროგრამიდან. აქ ისევ გამეორებულია წარსული წლების შეცთომა — წინადადების წევრებად დასახელებულია ქვემდებარე, შემასმენელი და მეორეხარისხოვანი წევრები. საჭირო იყო აღნიშვნა თუ რა იგულისხმება ამ მეორეხარისხოვანი წევრების ქვეშ, ისევ რომ არ გამეორდეს ამხსნელი სიტყვების ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა წინადადების გარჩევის დროს.

მეექვსე კლასის მასალა გრამატიკაში (ზმნა და მისი კატეგორიები) ძალზე რთულია ენის მთელ პროგრამასთან შედარებით. ეს ადგილი ყველაზე უკეთ დამუშავებულია და დალაგებული, ხოლო მეშვიდე კლასის გრამატიკის მასალა მეტად მოკლედაა წარმოდგენილი. სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღვლილების გამეორების შემდეგ, სინტაქსზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროა გაშუქებული იქნეს ის წესები (სიტყვათა შეწყობა-შეხამება, ლოგიკური მახვილი), რომლებიც საჭიროა წინადადებათა შესადგენად.

ყველა კლასის მასალას მართებულად აქვს დართული წიგნზე მუშაობის, ზეპირი მეტყველების, წერითი სამუშაოების პრაქტიკული საკითხები, მოცემულია ტიპიური სტილისტიკური შეცთომები ჩვენი აზრით, საჭიროა ამას დაემატოს (VI-VII კლასებში) საქმის ქაღალდების (ოქმის, განცხადების, სოცშეჯიბრების ხელშეკრულების) შედგენა.

თუ ენის პროგრამა შედარებით უფრო უპასუხებს თავის დანიშნულებას და მას სათანადო განმარტებითი ბარათიც უძღვის წინ, სამაგიეროდ ლიტერატურული მასალაზე ეს არ ითქმის. აქ მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, რომ „მწერლებისა და მათი თხზულებების კვალიფიკაცია, ან მათ შესახებ რაიმე კომენტარიები პროგრამათი თხზულებების კვალიფიკაცია, ან მათ ლიტერატურის პროგრამის დიდი ნაკლია. სწორედ დღესაა საჭირო პროგრამაში მოცემული იყოს სახელმძღვანელო დებულებები, როგორც ლიტ. ნიმუშების გაგების, ახსნის გზა, ვინაიდან სკოლებში ჯერ კიდევ გვხვდება ვულგარული სოციოლოგიზმის რეციდივები, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ჯერ კიდევ სავსეა ყალბი შეხედულებებით და ამიტომ „კომენტარებიანი“ პროგრამა ბევრ გაუგებრობას აღკვეთდა ამ საგნის სწავლებაში.

თითქმის ყველა კლასის პროგრამა ლიტერატურაში გადატვირთულია. V კლასში მოწაფემ უნდა შეისწავლოს 50 ნაწარმოები, VI — 23, VII — 33, VIII — 48, IX — 53 და X — 46. პროგრამის ასეთი გადატვირთვა ძალზე ვნებს მასალის შეთვისების ხარისხს, მით უფრო, რომ VII, VIII და IX კლასებში ლიტერატურას დათმობილი აქვს მცირე დრო (2-3 გაკვეთილი ხუთდღიურში).

V კლასში ფოლკლორიდან დასახელებული რვა ნაწარმოებიდან, ჩვენი აზრით, უნდა იქნეს ამოღებული ორი — „ორი ძმა“ და „ნაცარქექია“. ლიტერატურის მასალას უნდა გამოაკლდეს რ. ერისთავის ლექსი „სამშობლო“ და „ტეტიას მოთქმა“ (დარჩება მისი სამი ნაწარმოები), ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ბუნების მცოდნეები“ (რჩება მისი ხუთი ნაწარმოები), ნ. ლომოურის მოთხრობა „ალი“ (რჩება მისი „ყოველის მხრიდან“), ეგნ. ნინოშვილის „მოსე მწერალი“ (რჩება მისი „გოგია უიშვილი“) და გ. ქუჩიშვილის „პაცაცა“ (რჩება მისი ორი ნაწარმოები).

VI კლასის პროგრამა მხოლოდ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთ შეიცავს და მასზე დამატებულია რუსეთისა და უკრაინის ლიტერატურის ნიმუშები (პუშკინი — „კავკასიონი“. ტ. შევჩენკო — „ანდერძი“). შეიძლება უცვლელად დარჩეს.

VII კლასის პროგრამაში მასალა ყოვლად უსისტემოდაა თავმოყრილი. იწყება ილია ჭავჭავაძით, შემდეგ — ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, ნინოშვილი, კლდიაშვილი... ა. მაშაშვილი და... შოთა რუსთაველი, გორკი, პუშკინი. საჭიროა ზოგიერთი ნაწარმოების ამოღება პროგრამის განტვირთვის მიზნით.

მეათე კლასში არ კმარა ორიოდე ცნობა ლიტერატურის თეორიიდან. აქ გავლილი უნდა იქნეს ლიტერატურის თეორია უფრო ფართოდ.

სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, საჭიროა მოფიქრებით გადაისინჯოს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ა/ს. და საშუალო სკოლებისათვის და დასტაბილებური სახით დროულად მიეწოდოს სკოლებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ საგნის სწავლების შესაფერ დონეზე დაყენება.

**პ. ხმალაძე**

*) განხილვის წესით.



ქალაქ გორში შენდება პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი შენობა.
სურათზე: ხედი პედაგოგიური ინსტიტუტისა, რომელიც შენდება ქ. გორში.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## რა მდგომარეობაშია სახელმძღვანელოების გამოცემა

მიმდინარე წელს სახელმძღვანელოთა დროულად გამოცემის საქმე უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წარსულ წლებში.

სახელმძღვანელოების მთლიანი ტირაჟი უდრის 1957 ათასს. 16 დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოა, 855.000 საერთო ტირაჟით: 26 არასრულ საშუალო სკოლის, 713.000 საერთო ტირაჟით; 21 სრული საშუალო სკოლის, 276.000 საერთო ტირაჟით და წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისათვის 3 სახელწოდების წიგნი, 113.000 საერთო ტირაჟით.

აღნიშნულ წიგნთა ბეჭდვა განაწილებული იყო სახელგამის პოლიგრაფკომბინატის, პარტგამომცემლობის, გამომცემ. „კომუნისტის“, „ტექნიკა და შრომის“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბებზე; ამათგან მარტო პოლიგრაფკომბინატზე გადაცემული იყო დასაბეჭდად 50 სახელწოდების სახელმძღვანელო.

როგორ მიმდინარეობს სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე? 66 სახელმძღვანელოდან 1-ლ აგვისტოსათვის უკვე გამზადებულია 57 წიგნი 1.680 ათასი საერთო ტირაჟით. დანარჩენ 9 სახელმძღვანელოდან 8 უკვე დაბეჭდილია და ამჟამად იკინძება და ყდაში ისმება; მეცხრე წიგნი (ძიძიგურისა და გვახარიას „ანბანი“) კი ნაწილი დაბეჭდილია, ნაწილი ახლა იბეჭდება.

ახლა მორიგი ამოცანაა ადგილებზე სახელმძღვანელოთა მიწოდების საქმე. როგორც წარსულ წელს, ისე მიმდინარე წელსაც, ეს საქმე მინდობილი აქვს ცეკავშირს. წარსულ წელს ცეკავშირმა ეს საქმე აშკარად ჩაშლამდე მიიყვანა ძირეული კოოპერატიული ქსელის აპარატის მოუქნელობის გამო. მიმდინარე წლისათვის ცეკავშირმა ამთავითვე უნდა იზრუნოს მომზადდეს საამისოდ მთელი ძირეული კოოპერატიული ქსელი. სახელგამის სავაჭრო ქსელიც კარგათ უნდა მოემზადოს ამ საქმისათვის.

**ი. ნატროშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო **ადგენს:**

1. დაევალოს საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლებისათვის დახმარების გასაწევად ახალი სასწავლო წლისათვის დროულად და სანიმუშოდ მომზადებაში, 5-დან 25 აგვისტომდე ჩაატარონ ყველა სკოლაში „მსუბუქი კავალერიის" რეიდი.

2. წინადადება მიეცეს საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტებს, აგრეთვე სკოლების ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის შესამოწმებლად „მსუბუქი კავალერიის" რეიდის ჩატარების შესახებ.

3. საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა ბიუროს სხდომებზე განიხილონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის და მასში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

4. საქ. ალკკ სარაიონო და საქალაქო კომიტეტებმა უზრუნველყონ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა საშემოდგომო განმეორებითი გამოცდების ჩაბარებისათვის მზადებაში (კონსულტაციების ჩატარება, ლექტორებისა და პედაგოგების მიმაგრება ჩამორჩენილ სტუდენტებსა და მოსწავლეებზე).

5. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილებებმა საქართველოს განსახკომთან ერთად შეამოწმონ სახელგამის მიერ გამოცემის გეგმის შესრულება და სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და პროგრამებით 1937-38 სასწავლო წლისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქ. ალკკ სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს ა.-წ. აგვისტოს მეორე ნახევარში სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ჩაატარონ ახალგაზრდა პედაგოგთა სპეციალური თათბირები სკოლების პირველად კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნების მონაწილეობით ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების და ახალი სასწავლო წლის ამოცანების საკითხზე.

7. საქ. ალკკ სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა და უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჩაატარონ იმ ანგარიშით, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან უზრუნველყოფილ იქნას მთელი პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესება, კიდევ უფრო გაძლიერდეს რევოლუციური სიფხიზლე, გამომჟღავნებულ და განადგურებულ იქნან ტროცკისტ-ბუხარინელთა აგენტები და მათი ნაბოლარები, ამასთან აღმოიფხვრას ანტიხალხური გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობასა და სტუდენტთა შორის.

8. საქ. ალკკ სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

9. წინადადება მიეცეს გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის" და „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციებს ფართოდ გააშუქონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა.

## უდარდელობის იშვიათი ნიმუში

სოფ. კირცხის (ჩხოროწყუს რ.) საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. ბებია) სასწავლო წლისათვის მზადება საფრთხეშია. გასაკეთებელი კი ბევრია. სკოლას ესაჭიროება ორი ახალი საკლასო ოთახის მიშენება. შესაძენია 40 ახალი პარტა, 72 ძველ პარტას ესაჭიროება შეკეთება, მაგრამ დირექტორის უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის გამო მუშაობა ჯერაც არაა დაწყებული. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ დირექტორი სკოლას არ მოკარებია; მან იმაზედაც კი არ იზრუნა, რომ კურსდამთავრებულ მოსწავლეთათვის გაეცა ატესტატები, რის გამო მოსწავლეებს არ შეუძლიათ სხვა სასწავლებლებში შესვლა.

დირექტორის უყურადღებობით განადგურდა სკოლის ბაღი, რომელიც წლიურად 15-20 ათას მანეთის შემოსავალს იძლეოდა.

გან. განყოფილებამ იცის ყოველივე ეს, მაგრამ არ ცნობს საჭიროდ მიიღოს შესაფერი ზომები.

პ. ვ—ა.

## ვარლამ ჟურული

## თ ბ ი ლ ი ს ი

კარზე მადგია
ქართლის თბილი მზე,
მეც ბრწყინვალებას გაუღე კარი,
რომ კვლავ იჭექოს
ლექსმა თბილისზე
მისით ამოდის გულიდან ჰწკარი.

ვიცი, სამშობლოს
ალერსით დამწვი,
მაგრამ არ ვიცი რა ხმით
გიმღერო, —
ქუჩებს გიმწვანებს
ურიცხვი ნაძვი,
შადრევნებს გიღვრის ლითონის
წერო.

ქვის აკვანში წევს
შენი მდინარე
ბარათაშვილის ფიქრთა წამლები;
ვილრე დაცხრები,
წაიმძინარებ
ხალხით ბობოქრობს შენი ბაღები.

უკვე ვერ იცნობ
ყოფილ მადათოვს
შმორის, ნაგვის და ციების კერას;
ახლა, იქ ვარდებს
სანამ დაათოვს,
არ შეანელებს ფრინველი მღერას.

სიხარულის ზღვამ
შემძრა, ამავსო,
მიპყრობს, მიზიდავს შენი იერი.
თვალწინ გაზრდილო,
ჩემო ლამაზო,
ყველას გული ხარ, ხარ მშვენიერი.

ისე გათავდა,
როგორც წვიმის ხმა
გუშინწინდელი შენი ცხოვრება;
არღნის ხმაური,
ლოთის ღვინის სმა
ჩამქრალ წარსულად გემახსოვრება.

გემახსოვრება
ტივზე ყორანი,
ფრთებს რომ იბერტყდა მტკვარის
ნაპირას,
მტკვარს უნათებდა
ზვირთს რესტორანი,
კინტოც სტიროდა ქვეყნის სატირალს.

დღეს რომ ეღვიძოს
ნიკო ფიროსმანს,
ვანქს ვერ იხილავს ბანზე ხალებით,
კინტოს დახატავს,
რომ იტიროს მან
ძველი ქალაქის გარდაცვალებით.

კარზე მადგია
ქართლის თბილი მზე,
მეც ბრწყინვალებას გაუღე კარი,
რომ კვლავ იელვოს
ლექსმა თბილისზე
გულს ერუანტელით აწყდება
ჰწკარი.



**თბილისი.** საბურთალოში დამთავრდა ახალი საბავშვო კერის შენება და მოწყობა. კერაში არის დიდი საცეკვაო დარბაზი, კარგი ნათელი სასადილო და კარგად მოწყობილი საწოლი ოთახი.

ამჟამად საბავშვო კერაში იზრდება 100 ბავშვი, უახლოეს დროში ბავშვთა რიცხვი კერაში ორჯერ მეტი იქნება.

**სურათზე:** თბილმრეწვავრობის საბავშვო კერის ახალი შენობა საბურთალოში

ფოტო კადე ტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## ფაქსიმილეთი ხელმოწერის აკრძალვა

ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე, უმაღლეს სასწავლებლების, დაწყებითი და საშუალო სკოლების დირექტორები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები მიმართვებზე და საბუთებზე ხელს აწერენ ფაქსიმილეთი, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა გაუგებრობისა და ზოგჯერ დანაშაულებრივ მოვლენების წარმოშობას.

განსახკომმა წინადადება მისცა ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გულდასმით შეამოწმონ ყველა საქმის ქაღალდი და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ფაქსიმილეთი ხელმოწერა.

## პ. კაჭარავა

## დაფის გამოყენება გაკვეთილზე

საკლასო დაფა ერთერთი უსაჭიროესი ხელსაწყოა სკოლაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ არის მათემატიკის არც ერთი გაკვეთილი, რომელზეც არ იყოს საჭირო დაფის გამოყენება, მაგრამ სხვა დისციპლინის გაკვეთილებზეც კარგი პედაგოგები ყოველთვის იყენებენ მუშაობაში საკლასო დაფას. დინამიურობის მხრივ ეს ხელსაწყო თუ ჩამოუვარდება მხოლოდ კინოსურათს, ხოლო გამოყენების შესაძლებლობათა მრავალმხრივობით სჯობია ყველა სხვა სასწავლო ხელსაწყოს. მხოლოდ დაფის გამოყენების ტექნიკის სუსტად დაუფლება ზღუდავს ამ ფართო შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო დაფის მნიშვნელობა ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვს შეგნებული სკოლის ხელმძღვანელობას და ზოგჯერ თვით პედაგოგებსაც. ამის შედეგია, რომ ხშირად საკლასო დაფა კეთდება პატარა ზომის. ეს კი იწვევს დიდძალ დროის დაკარგვას გაკვეთილზე. როდესაც ასეთ დაფაზე წარმოებს ამოხსნა ახალი ტიპის ამოცანისა, რომელიც არ არის სახელმძღვანელოში, პედაგოგს მოუხდება ჯერ მთლიანად ამოცანის პირობის დაწერა დაფაზე და გააცნობს რა მოსწავლეებს მის შინაარს, მაშინათვე წაშალოს ეს და ხელახლა დაწეროს უკვე შემოკლებული სახით. დაფის პატარა ზომის გამო, ბევრი დრო იკარგება ერთი და იგივე რიცხვების დაწერა - გადაწერაზე. შედეგად, რასაკვირველია, იკარგება მუშაობის კავშირებითი ძაფი და ბავშვებისათვის ძნელი ხდება ზეპირად აღდგენა ყველაფრისა, რაც გაკეთდა დაფაზე.

ვაფასებთ რა დიდ მნიშვნელობას დაფასთან მუშაობას, ჩვენ ერთი რამ მუდამ უნდა გვახსოვდეს — დაფაზე ჩაწერა ხდება საგრძნობლად უფრო ნელა, ვიდრე რვეულში, მით უფრო, ზეპირ ამოხსნაზე. ეს იწვევს უნაყოფოდ დროის დაკარგვას გაკვეთილზე, ზოგჯერ დეზორგანიზაციას იმ მოსწავლეთა, რომლებიც ამ დროს არ არიან ჩაბმული სასწავლო მუშაობაში. რომ ეკონომიურად და სწორად გამოვიყენოთ დაფა გაკვეთილზე, წინასწარ უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ის და რა შემთხვევაში არა.

გაკვეთილზე დროის ეკონომიისათვის პედაგოგმა ან მორიგე მოსწავლემ ზოგი რამ წინასწარ შეიძლება ჩაწეროს დაფაზე.

თუ პედაგოგი მიმართავს დაფას საშინაო დავალების შემოწმების დროს, როდესაც ბავშვებმა ეს სამუშაო უკვე კარგად შეასრულეს რვეულებში, უდაოა, რომ ამ შემთხვევაში დაფის გამოყენება წარმოადგენს მხოლოდ გამეორებას შინ შესრულებულის მუშაობისა და მეტს არაფერს მოიტანს, გარდა დროისა და შრომის დისციპლინის დარღვევისა. უნდა ითქვას, რომ დაფის ამგვარი გამოყენება არაიშვიათია, ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ერთერთმა მასწავლებელმა მოითხოვა გაკვეთილზე ხელახლა ამოეხსნათ დაფაზე მოსწავლეთა მიერ შინ შესრულებული მაგალითი სახელდებული რიცხვის განყენებულზე გამრავლებისა (5687 მ. 75 კ. X 35). ამ მაგალითმა წაართვა კლასს 12 წუთი და არავისათვის არაფერი მიუცია.

არაა საჭირო მეტად ადვილი მასალის დაფაზე ჩაწერა. მაგალითად, პედაგოგმა ახსნა რა პროცენტების წესი, დაიწყო მიცემა მეტად ადვილი მაგალითების: 100-ის 3 პროც. 100-ის 5 პროც. და სხვ. სანამ გამოძახებული მოსწავლე მივიდოდა დაფასთან და დაიწყებდა წერას, ბავშვები ადგილებიდან ყვიროდნენ პასუხებს, იყო ხმაურობა, არავინ მოსწავლეთაგანი არ ამჟღავნებდა სურვილს დაფასთან გამოსვლისა და მუშაობა დაფასთან უკან რჩებოდა კლასის მუშაობას.

ზოგიერთი პედაგოგი ახალი ამოცანის პირობას სისტემატურად წერს დაფაზე მთლიანად იმ შემთხვევაშიც, კი როცა ამოცანა არის სახელმძღვანელოში. ამოცანის პირობის დაწვრილებითი ჩაწერა საჭიროა საერთოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის სახელმძღვანელოში და წარმოადგენს მოსწავლეთათვის ახალ და რთულ ტიპს. ასეთ შემთხვევაში დაფაზე დაწვრილებით უნდა ჩაიწეროს არა მხოლოდ ამოცანის პირობა, არამედ მისი ამოხსნის გეგმაც და თვით ამოხსნაც ახსნასთან ერთად, მაგრამ მსგავსი ამოცანის გამეორების დროს არაა საჭირო ხელახლა მთლიანად ჩავწეროთ პირობა.

მეოთხე, მით უმეტეს, მეხუთე კლასის მოსწავლეებს უკვე უნდა შეეძლოთ ამოცანის პირობის შემოკლებით ჩაწერა. ადრევე უნდა ვავარჯიშოთ მოსწავლეები, როგორ უნდა ჩაიწეროს ამოცანის პირობა და ამაზე დასაწყისში არ უნდა დავიშუროთ დრო, მაგრამ შეასწავლიან თუ არა ამას, უკვე აღარაა საჭირო დავკარგოთ დრო პირობის გადაწერაზე — არაეკონომიურ მოსაწყენ მექანიკურ მუშაობაზე. დაფაზე და რვეულში შემოკლებით ჩაწერის ჩვევის გამომუშავებას აქვს დიდი სასწავლო მნიშვნელობა. შემოკლებითი ჩაწერა აწესრიგებს მოსწავლეთა აზროვნებას და ასწავლის მათ თავის აზრის გამახვილებულად, სწორად და ნათლად გამოთქმას. შემოკლებითი ჩაწერის გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოთხოვნა, რომ ბავშვებს, აწარმოებენ რა ასეთ ჩაწერას. სავსებით ესმოდეთ, რასაც წერენ, აძლევდნენ თავს ანგარიშს ჩანაწერას თითოეული პუნქტის შესახებ. გრძელი, არასაჭირო ჩანაწერის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად პედაგოგმა უნდა იზრუნოს ცალკეული სიტყვების ჩაწერის სწორ შეთვისებაზე. მაგალითად, მეტრის მაგივრად ვწერთ „მ" უწერტილოდ, კილოგრამის მაგივრად — „კგ" და სხვ.

ჩაწერა გაკვეთილზე შეიძლება აწარმოოს მასწავლებელმაც და მოსწავლემაც, მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება დავავალოთ ბავშვებს წერონ დაფაზე. ზოგჯერ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშავდება ახალი მასალა, დაფაზე თვითონ მასწავლებელმა უნდა წეროს. ეს წესი უფრო ეკონომიურია დროის მხრივ და გვიცავს შეცთომებისაგან.

დაფაზე ჩანაწერმა არ უნდა მააჩვიოს ბავშვები მექანიკურად გადმოწერას მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობის მაგივრად. ამიტომ ყოველგვარი ამოცანის და მაგალითის ამოხსნის დროს, თუ ეს მუშაობა წარმოებს პარალელურად დაფაზეც და მოსწავლეთა რვეულებშიც, საჭიროა მიეცეს კლასს დრო, რომ მუშაობის ყოველი ეტაპი გააკეთოს ჯერ დამოუკიდებლად დაფა კი უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ, როგორც შესრულებული მუშაობის სისწორის შესამოწმებელი საშუალება.

დიდი შეცთომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ თითქოს დროის ეკონომიის თვალსაზრისით დაფაზე ჩაწერა შეიძლება ვაწარმოოთ სასწრაფოდ, როგორმე. ეს მოახდენდა მეტად უარყოფითს გავლენას კლასის სამუშაო განწყობილებაზე და მოსწავლეთა ჩვევებზე. დაფაზე ჩაწერა, წარმოებს ის თვითონ პედაგოგისა თუ მოსწავლის მიერ, უნდა შესრულდეს დიდი გულდასმით, რომ იყოს სრული ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა წერონ მოსწავლეებმა რვეულებში. დაფას უნდა ჰქონდეს მეტად ფართო და მრავალმხრივი გამოყენება გაკვეთილზე, არა მხოლოდ დროის ზედმეტი ხარჯვის აცილების თვალსაზრისით, არამედ როგორც დროის ეკონომიისა და მუშაობის ეფექტურობის ფაქტორის.

დაფის საშუალებით ხდება შემოწმება: ერთი მოსწავლე წერს დაფაზე, სხვები — რვეულებში, შემდეგ ერთმანეთს ადარებენ დაწერილს. ახლა ერთი წერს დაფაზე, დანარჩენები კლასიდან ადევნებენ და ამჩნევენ გამოძახებული მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს. თუ დაფა დიდია, შეიძლება გამოვიძახოთ ორი მოსწავლე, ესენი პარალელურად აწარმოებენ ერთი ამოცანის ამოხსნას. კლასი მხოლოდ თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას და როდესაც ისინი დაამთავრებენ ამოხსნას, მოსწავლეები გაარკვევენ, რომელ მათგანმა ამოხსნა სწორად, ან ორივემ სწორად ამოხსნა. კლასი განსაზღვრავს, რომელი ამოხსნაა უფრო მარტივი, ეკონომიური და უკეთესი. ეს ხერხი აცხოველებს და აცოცხლებს მუშაობას. ოღონდ არ უნდა გავხადოთ ის სისტემად.

პედაგოგმა ყოველთვის უნდა გამოიყენოს დაფა საშინაო დავალების მიცემის დროს მოსწავლეების მიერ ამ დავალების სწორად ჩაწერის უზრუნველსაყოფად და ყოველთვის თვითონ უნდა დაწეროს დავალება დაფაზე.

**შევაჯამოთ ნათქვამი.** გაკვეთილზე დაფის სწორად გამოყენება სასწავლო დროის რაციონალურად გამოყენების არსებითი ფაქტორია. დაფა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გრაფიკული თვალსაჩინოება, როდესაც მუშავდება ზეპირი ანგარიშით ძნელად დასაქმელი მასალა, როდესაც საჭიროა გაკვეთილის გარკვეული ნაწილის განმავლობაში თვალწინ ჰქონდეთ მოსწავლეებს რაიმე მონაცემები, მასწავლებელი უნდა იბრძოდეს დაფის გამოყენების ტექნიკის დაუფლებისათვის, მაგრამ ამავდროულად არ უნდა გასწიოს დროის ეკონომია მის გამოყენებაში არასისწორისა და არასიმკვეთრის ხარჯზე. საჭიროა გვახსოვდეს, რომ დაფაზე წერა საგრძნობლად ჩამორჩება რვეულში წერას, და განსაკუთრებით კი — ამოცანის ზეპირად ამოხსნას. ამიტომ არ უნდა მივმართოთ დაფას, როდესაც შეიძლება მუშაობის ამ სახეების (მოსწავლეების მიერ დაფის გარეშე ადვილადდასაქმელ შემთხვევებში) წარმატებით გამოყენება, ვინაიდან ეს იწვევს მხოლოდ დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვას გაკვეთილზე.

იმ შემთხვევებში, როდესაც დაფაზე ჩაწერა წარმოადგენს ჩვენებას, ახსნას მოსწავლეთათვის ნაკლებად ცნობილი მასალისა, მოსწავლეთა მიერ რვეულებში ჩაწერა უნდა მისდევდეს დაფაზე ჩაწერას და ამას თან უნდა ერთოდეს მასწავლებლის განმარტება. შეუგნებელი გადმოწერა დაფიდან წინასწარი დეტალური განმარტების გარეშე შემდგომ აუცილებლად გამოიწვევს შეცთომებს და სასწავლო დროის დამატებითს ხარჯვას. იმ შემთხვევებში, როდესაც დაფაზე ჩაწერა წარმოადგენს მოსწავლეთა მუშაობის შემოწმებას, რვეულებში ჩაწერა წინ უნდა უსწრებდეს, უკიდურეს შემთხვევაში თან უნდა სდევდეს დაფაზე ჩაწერას. აქაც საჭიროა სიფრთხილე, რომ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა არ იქნეს შეცვლილი დაფიდან მექანიკური გადმოწერით.

ახალი, ანდა მოსწავლეთა მიერ ჯერ კიდევ აუთვისებელი მასალის ჩაწერას დაფაზე აწარმოებს პედაგოგი დროის ზედმეტი ხარჯვის ასაცილებლად. მოსწავლის მიერ დაფაზე ჩაწერის დროს პედაგოგი ვალდებულია განსაკუთრებული გულდასმით ადევნოს თვალყური შესაძლებელ შეცთომათა დროულად გასწორებას.

იმის გამო, რომ ჩაწერა შედარებით ნელა წარმოებს, საჭიროა დროის ეკონომიის მიზნით მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველგვარი შესაძლებელი შემოკლება, რაც არ შეამცირებს მოსწავლეთა მიერ მასალის აღქმის სიმკვეთრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში

## ნანკინის დაცვის მომზადება

ლონდონი, 4 აგვისტო (საქდესი). (ტელეფონით „იზვესტიას“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). რეიტერის სააგენტოს მიერ ნანკინიდან მიღებული ცნობების თანახმად, დაიწყო ევაკუაცია სამოქალაქო მოსახლეობისა; იგი დედაქალაქიდან კადის იმის შიშით, რომ იაპონელები არ შეჩერდებიან იმის წინაშე, რათა ყუმბარები დაუშინონ ქალაქს ჰაერიდან და ზღვიდან ჩინეთთან დიდი ომის შემთხვევაში.

მთავრობამ წინადადება მისცა სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოხელეს გაიყვანონ თავიანთი ოჯახები, ვინაიდან შესაძლებელია სიძნელეები სურსათის მხრივ. გზათა სამინისტრომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავიანთ მოსამსახურეებს ევაკუაციისათვის მისცეს ერთი თვის ხელფასი.

დღეს დამთავრდა მზადება ნანკინისა და მდინარე იანძიზე მდებარე ნავსადგურების დაცვისათვის. დღესვე სამხედრო მინისტრის მოადგილემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა მოხსენება დედაქალაქისა და ნავსადგურების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ჯენკინსი.

## ბეიპინში

ბეიპინი, 4 აგვისტო (საქდესი). ტიანძინში სროლა მხოლოდ გუშინ შეწყდა. ქუჩებში ჰყრია დიდძალი გვამები და მძიმედ დაჭრილნი. ქალაქში თავი მოიყარა დაახლოებით 400 ათსმა ლტოლვილმა. ტაკუს ნავსადგური განადგურებულია იაპონელთა ბომბარდირებით. ტაკუს მიდამოებში მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა, როგორც ყველგან საომარი მოქმედების რაიონებში. გახიცდიან სურსათის ნაკლებობას.

## ჩინეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის სამსახურში

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საქდესი). როგორც „ნიუ-იორკ“ ტაიმსი“ ლოს-ანჟელოსიდან იუწყება, იქ გავრცელდა ხმები, რომ ამერიკის 182 მფრინავი შევიდა ჩინეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის სამსახურში.

## იაპონელთა ზარალი

ტოკიო, 4 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო, გადაარება რა იაპონიის სამხედრო სამინისტროში მიღებულ ოფიციალურ ცნობებს, იუწყება, რომ იაპონიის ჯარებს 27 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩრდილო ჩინეთში წარმოებულ ბრძოლებში მოუკლეს 288 და დაუჭრეს 724 ოფიცერი და ჯარისკაცი.

## „აღზრდის“ ჰიტლერული მეთოდების ჩაშლა

პრაღა, 4 აგვისტო (საქდესი). პრესა იუწყება, რომ ჩაიშალა ცდეში უნგრეთის სტუდენტთა წრეში გადაეტანათ „აღზრდის“ ჰიტლერული ფორმები და მეთოდები. გასული წლის დამლევს, გერმანიის ფაშისტთა თავგამოდებული მომხრის, უნგრეთის სახალხო განათლების მინისტრის ხომანის ინიციატივით, შეიქმნა შრომის ბეგარის 6 ბანაკი უმაღლესი სკოლების მსმენელთათვის. ნებაყოფლობით ჩაწერილი 300 სტუდენტი ქალ-ვაჟი მალე დარწმუნდა, რომ ამ ბანაკების დანიშნულებაა მხოლოდდამხოლოდ სამხედრო მზადება. ამჟამად ბანაკები დაშლილია: სტუდენტობის უმრავლესობა იქიდან გაიქცა.

## „ხელოვნების წმენდა პრუსიაში“

ბერლინი, 3 აგვისტო (საქდესი). გრძელდება გალაშქრება ხელოვნების იმ ნაწარმოებთა წინააღმდეგ, რომლებიც ფაშიზმს არ მოსწონს. პრუსიის პრემიერ-მინისტრი გერინგი მორიგ განკარგულებაში წინადადებას იძლევა მოახდინონ „ხელოვნების წმენდა პრუსიაში“. განათლების მინისტრ რუსტს წინადადება მიეცა მიიღოს ჯეროვანი ზომები, რათა მუზეუმებიდან და სხვა დაწესებულებებიდან განდევნილ იქნას ხელოვნების ყველა ნაწარმოები, რომლებიც ფაშისტურ შეხედულებებს არ შეესაბამება.

## გაჯანსაღებული ბავშვები დაბრუნდნენ ბანაკიდან

სტალინირი, 3 აგვისტო (საქდესი). სწავლის ასმა ფრიადოსანმა — სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბავშვებმა თავიანთი საზაფხულო დასვენება გაატარეს ჯავის პიონერბანაკში, რომელიც იმყოფება მდინარე ლიახვის ნაპირზე წარმტაც ადგილას. ბავშვებმა მშვენივრად დაისვენეს, გაჯანსაღდნენ. ბანაკში ყოფნით მათ ბევრი რამ ისწავლეს და ახალი ძალღონე შეიმატეს. 26 ბავშვმა ჩააბარა „ნორჩი ვოროშილოველი მსროლელის“ ნიშნის ნორმები, 41 ბავშვმა —„მშთ“ ნიშნისა და 75 ბავშვმა — „მსთ“ ნიშნის ნორმები.

ბანაკში გაემგზავრა ბავშვების მეორე პარტია — სწავლის ფრიადოსნები.

## ნუ თუ ასე უნდა კადრების შერჩევა

3 ივლისს დაიწყო მანგლისში მეცადინეობა ქართული ენისა და ლიტერატურის ერთთვიან რესპუბლიკურ კურსებზე. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა პედაგოგიკისა და სამხედრო საქმის ლექტორები მოავლინა 26 ივლისს, მათ ლექციები წაიკითხეს ნაჩქარევად და მსმენელებისათვის სრულიად უნაყოფოდ.

კონსტიტუციისა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის შესასწავლად ლექტორად მოვლინებული იქნა ახლა გამომჟღავნებული ხალხის მტერი — ა. მენაბდე.

ნუთუ ასე გაიგო განათლების კომისარიატმა მითითება კადრების შერჩევის შესახებ „პოლიტიკური ნიშნისა“ და „საქმიანი ნიშნის მიხედვით“..

შ. ჭეიშვილი

## „ფულის მახე“

— თქვენი ბილეთი, ხომ იცით, რომ ბაღში უფასოდ შესვლა არ შეიძლება?!..

— კი მაგრამ..

— არაფერი „მაგრამ“ საქმეს არ უშველის, ბილეთი უნდა იყიდოთ!

— მე ბიბლიოთეკაში მივალ და არა ბაღში, გთხოვთ გამიშვათ.

— მით უმეტეს—თქვენ გინდათ უფასოდ წაიკითხოთ წიგნები, ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით, გარწმუნებთ „ბრძენი“ დარაჯი და დაჟინებით მოითხოვს თქვენგან ბილეთის ფულს.

ასეთი დიალოგი პლეხანოვის სახ. კლუბის შესავალთან ხშირად იმართება. ბიბლიოთეკა ბაღშია მოთავსებული და სწორედ ეს ბაღი წარმოადგენს „გადულახავ ციხე-სიმაგრეს“.

კლუბის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში ასე მსჯელობს: ყოველდღიურად ბიბლიოთეკაში აუარებელი მკითხველი მოდის, ყველას რომ შესასვლელი ფული „ავცანცლოთ“, საკმაო თანხა დაგროვდება. ამიტომ დაავგო მან შესავალ კარებთან ფულის მახე, რაც უნდა მოსპოს კლუბის ხელმძღვანელობამ.

სამკითხველოში შესვლის უფლება ყველასათვის უფასოდ უნდა იქნეს.

გ. უკლება.

## პატარა ფელეტონი

# „პურმარილის მსხვერპლი“

— ამ პატარა ჭიქით, რომელშიც ჩადის მხოლოდ ნახევარი ლიტრა, გაგიმარჯოს შენ, ძვირფასო და დაუვიწყარო მეგობარო ალიოშა ცინცაძე. გეფიცები ჩინიდისს და პატიოსნებას, რითაც მე ასე უხვად დამაჯილდოვა განგებამ, რომ მიყვარხარ ისე...

— რომ გიყვარვარ, ვიცი — გააწყვეტინა „რეჩი“ სამტრედიის რაიონში განთქმულ თამადას და იმავე რაიონში „შეთავსებით“ განათლების განყოფილების გამგეს შალიკო ბოცვაძეს გულუხვმა მასპინძელმა, მაგრამ გემდური, რომ ვიღაც „უჩიტელმა“, დიომიდე ნიკოლეიშვილმა გალანძღა ჩემი და ალექსანდრა და შენ კი...

— ხვალვე თუ არ მოვხსნა, ამის ზედაშის მადლი გამიწყრეს, ბრძანა პატივცემულმა თამადამ და განაგძო „ტოსტები“.

გათავდა მორიგი ქეიფი ესე.

გათენდა თებერვლის სუსხიანი დილა. განათლების განყოფილების გამგის წინაშე წამოიჭრა ორი საკითხი: პირველი ეხებოდა „პახმელიას“, მეორე კი — ალიოშა ცინცაძისადმი მიცემულ სიტყვის განაღდებას.

შ. ბოცვაძემ საჭიროდ ცნო პირველ რიგში გადაეწყვიტა მეორე საკითხი და დაწერა ბრძანება № 10: „ხულიგნობისათვის მოიხსნას სამსახურიდან წიაღოუბნის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი დიომიდე ნიკოლეიშვილი“.

გაიგზავნა ბრძანება დანიშნულებისამებრ.

— არა, ასეთი ბრძანება, მგონი, არ ივარგებს, ჩაილაპარაკა თავისათვის უკვე „ნაპახმელევმა“ შ. ბოცვაძემ და დაწერა ახალი ბრძანება № 11: „გადაყენებულ იქნას სამსახურიდან წიაღოუბნის არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებელი დიომიდე ნიკოლეიშვილი, ხოლო მისი „საქმის“ გამოძიება ჯერ დამევალოს მე და შემდეგ კი გადაეცეს პროკურორს“.

დაიწყო გამოძიება. შალიკომ ადგილობრივ „შეამოწმა“ „საქმის“ ვითარება — დაიბარა უგულითადესი მეგობრის „დაზარალებული“ და — ალექსანდრა და „მართლისმთქმელი“ მოწმეები: დაზარალებულის ძმები, მულები, დედამთილი და ახლობელი მეზობლები: ესმა, მარგალიტა, ტიტიკო, მაშიკო, დარიკო და სოფიკო, რომლებმაც ერთხმად „დაადასტურეს“, რომ მასწავლებელმა დიომიდე ნიკოლეიშვილმა „უდიდესი შეურაცხყოფა“ მიაყენა ალექსანდრა ცინცაძეს.

საქმე ეს დაუყოვნებლივ გადაეგზავნა რაიპროკურორს. ამ უკანასკნელმა გადასცა მილიციას, რომელმაც ბევრი იძია თუ ცოტა, წაყენებული „ბრალდება“ არავითარ შემთხვევაში არ დადასტურდა.

ასე მიდიოდა დღეები, ცდებოდა გაკვეთილები, თავისუფალი მასწავლებელი დ. ნიკოლეიშვილი კი ხშირი სტუმარი გახდა განათლების განყოფილების.

— ჩემ წინააღმდეგ შეთხზული ამბები, ხომ არ დადასტურდა, მოდი, „იწამე ღმერთი“ და აღმადგინე.

— გაეთრიე აქიდან, თორემ მე ვიცი შენ როგორც აღგადგენ — შეუტია გამგემ უდანაშაულო მასწავლებელს.

ამ საქმეში ხუთი თვის შემდეგ ჩაერია განსახკომიდან მოვლინებული კაცი, რომელმაც იძია, იძია და რომ ვერაფერ ვერ ნახა მასწავლებელ ნიკოლეიშვილის წინააღმდეგ, ა/წ. 5 ივნისს დაიწერა განსახკომის ბრძანება № 957: „აღდგენილი იქნას თავის უფლებებში წიაღოუბნის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი დიომიდე ნიკოლეიშვილი“, მაგრამ ბრძანება ეს დიდხანს ატარა ჯიბით განათლების განყოფილების გამგემ. ბოლოს, როგორც იქნა, „აღსდგა“ უსამართლოდ „წაქცეული“ მასწავლებელი ნიკოლეიშვილი, რომელიც დღესაც სანთლით ეძებს განაცდენ თვეების ხელფასს, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?!

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ: რამდენია ჩვენში განათლების განყოფილების ასეთი „წარჩინებული“ გამგე და რით აპირებს განსახკომი მათ დაჯილდოვებას?!

გრი

## ფრიადოსნები— კურორტზე

ბათომი, 4 აგვისტო (საქდესი). ბათომიდან სრულიად-საკავშირო საბავშვო კურორტზე — არტეკში გაიგზავნა სწავლის ორი ფრიადოსანი — პიონერი გოგონები როზა არუთინოვი — დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასის მოწაფე და აჭარელი ჩაუს-ოღლი ზეიდი-ქალთა პედსასწავლებლის მე-2 კლასის მოსწავლე.

## განსახკომში

### გამოვიყენოთ ყოფილი მასწავლებლები

სათანადო კვალიფიკაციის უქონლობის გამო საატესტაციო კომისიების შემოწმებით განთავისუფლებულ იქნენ მთელი რიგი მასწავლებლები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება კულტურული ფრონტის სხვა დარგში.

განსახკომმა დაავალა განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებს, რომ განთავისუფლებული მასწავლებლები გამოიყენონ სალიკვიდაციო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, საბავშვო ბაღებში და სხვ. მათვე დაევალა ყოველნაირად შეუწყონ ხელი ყოფილ მასწავლებლებს პედაგოგიური ცოდნის შეძენაში.

## შესწორება

წერილში „რემონტიც ნელი ტემპით მიმდინარეობს“ (იხ. „კომ. გან.“ № 72) 1-ლი გვ. მეორე სვეტის 1-ლი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ორჯონიკიძის რაიონის მე-15 და მე-58 სკოლების გარდა, რემონტი საერთოდ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს“.



ბათუმი. კრუპსკაიას სახ. აჭარელ ქალთა პედ. სასწავლებელში მოწყობილია მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელშიც მონაწილეობს პედ. სასწავლებლის 16 მოსწავლე ქალი.
სურათზე: მეჩონგურეთა ანსამბლი. მარჯვნივ ანსამბლის ხელმძღვანელი კომკავშირელი ვ. სადრაძე, მარცხნივ პირველი ზის) ორდენოსანი აიშე გურგენიძე.
ფოტო კ. დეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პ/მგ. რედაქტორი გრ. ხოსელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, კელაძის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

სილ. თოდრიას სახ. სტამბა, „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 31514